MES 6 23 0000131128

06/02/2023

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პერტე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
ზვიად გოგუაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
ია გიგიბერია - შპს ქართული სასწავლებლის - თბილისის მასწავლებელი, ქიმიის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;
ეკატერინე კვირიკაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - „ახალი სკოლის მოდელის“ მხარდამჭერი პროგრამის მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;
შალვა მეკრავიშვილი - სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

თამარ შენგელია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
გვანცა მეტრეველი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

ა(ა)იპ - წმინდა ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების სახელობის მართლმადიდებლური ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა
ქუთაისის გაენათის მიტროპოლიტი იოანე (გამრეკელი) - სკოლის რექტორი
ლევან ქურდიანი - სკოლის დირექტორის მოადგილე
ნინო სირაძე - სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერი

ა(ა)იპ - წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალტუბოს სასულიერო გიმნაზია
ქუთათელ გაენათელი მიტროპოლიტი იოანე (გამრეკელი) - სკოლის რექტორი
მაია ონიანი - სკოლის წარმომადგენელი

შპს სენაკის კერძო სკოლა-ლიცეუმი
ლაურა ნორაკიძე - სკოლის დირექტორი

შპს გიმნაზია
ნანა ალექსანდრია - სკოლის დირექტორი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

ა(ა)იპ - წმინდა ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების სახელობის მართლმადიდებლური ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა
ხათუნა ბარაბაძე
მაგდა ბარამიძე

ა(ა)იპ - წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალტუბოს სასულიერო გიმნაზია
ქეთევან ბაცანკალაშვილი
მაკა ჭიაბერაშვილი

შპს სენაკის კერძო სკოლა-ლიცეუმი
მაკა ტუკვაძე

ვერა ყურულაშვილი

შპს გიმნაზია
ლიანა კობესაშვილი
იზაბელა იოსელიანი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 17-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა 2023 წლის 30 იანვარს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 15:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 17-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 20-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. “ა(ა)- იპ საქართველოს საპატრიარქოს ურბნისისა და რუისის ეპარქიის ქარელის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზიის ავტორიზაციის შესახებ” ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 08 სექტემბრის N797118 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ;
2. ა(ა)იპ - წმინდა ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების სახელობის მართლმადიდებლური ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ - წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალტუბოს სასულიერო გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს სენაკის კერძო სკოლა-ლიცეუმის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. შპს გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

1. “ა(ა)- იპ საქართველოს საპატრიარქოს ურბნისისა და რუისის ეპარქიის ქარელის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზიის ავტორიზაციის შესახებ” ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 08 სექტემბრის N797118 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ

ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს სხდომაზე განმარტა, რომ “ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ურბნისისა და რუისის ეპარქიის ქარელის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზიის ავტორიზაციის შესახებ” ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 08 სექტემბრის N797118 გადაწყვეტილებაში ფიქსირდებოდა ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, გადაწყვეტილების პირველ პუნქტში ნაცვლად ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ურბნისისა და რუისის ეპარქიის ქარელის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზიის საიდენტიფიკაციო კოდისა, დაფიქსირებული იყო სხვა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი. შესაბამისად, მიზანშეწონილი იყო ცვლილება განხორციელებულიყო გადაწყვეტილების პირველ პუნქტში. საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა “ა(ა)- იპ საქართველოს საპატრიარქოს ურბნისისა და რუისის ეპარქიის ქარელის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზიის ავტორიზაციის შესახებ” ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 08 სექტემბრის N797118 გადაწყვეტილების პირველ პუნქტში ტექნიკური ხარვეზის გასწორების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, “ა(ა)- იპ საქართველოს საპატრიარქოს ურბნისისა და რუისის ეპარქიის ქარელის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზიის ავტორიზაციის შესახებ” ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 08 სექტემბრის N797118 გადაწყვეტილების პირველ პუნქტში გასწორდეს ტექნიკური შეცდომა და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: “1. ა(ა) - იპ საქართველოს საპატრიარქოს ურბნისისა და რუისის ეპარქიის ქარელის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზიას (ს/კ: 243914617) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2020 წლის 24 აგვისტოდან”.

2. ა(ა)იპ - წმინდა ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების სახელობის მართლმადიდებლური ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ

წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ხათუნა ბარაბაძემ და მაგდა ბარამიძემ. ექსპერტმა, ხათუნა ბარაბაძემ განაცხადა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2022 წლის 13 და 14 დეკემბერს. ექსპერტის განცხადებით, სკოლა მდებარეობდა ქ. თბილისში, დიდ დიღომში, პეტრიწის ქ. N1-ში. ხათუნა ბარაბაძის თქმით, სკოლა ფლობდა 7065,00 კვ. მ. არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთს. აქედან შენობა-ნაგებობების ფართი, რაც გამოიყენებოდა სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო-პრაქტიკული სამუშაოების ჩასატარებლად, შეადგენდა 1938,75 კვ. მ-ს (სამი სართული) და ახლად აშენებული შენობის 1611,7 კვ. მ.შენობა გადაცემული იყო 20 წლის ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებით საქართველოს საპატრიარქოზე და საპატრიარქოს მხრიდან უვადო სარგებლობის უფლებით გადაცემული იყო სკოლაზე.

ექსპერტმა, ხათუნა ბარაბაძემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა მხრიდან გაიცა სტანდარტთან უკეთ შესაბამისობის მიზნით რეკომენდაცია. კერძოდ, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის უკეთ დანერვის მიზნით, ექსპერტთა აზრით, რეკომენდებული იყო შესრულებული შემაჯამებელი დავალებების დეტალური ანალიზი და წარმოდგენა. უნდა ასახულიყო კონკრეტულად რომელ საკითხში გამოავლენდა მოსწავლე სისუსტეს და როგორი იყო ამ სისუსტის დაძლევის გზა.

ექსპერტმა, ხათუნა ბარაბაძემ ისაუბრა დაწესებულების მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ვიზიტის ფარგლებში ექსპერტებმა გასცეს რეკომენდაციები სკოლის სამედიცინო ოთახის აღჭურვასთან დაკავშირებით. რაც, ექსპერტის თქმით, სკოლამ ვიზიტის პერიოდში გაითვალისწინა და აღჭურვა სამედიცინო ოთახი ბრძანების შესაბამისი აღჭურვილობის მიხედვით.

ექსპერტმა, ხათუნა ბარაბაძემ ისაუბრა დაწესებულებაში დაფიქსირებულ ხარვეზებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა მესამე, სამ სართულიანი - ადმინისტრაციული შენობა, რომელიც უერთდებოდა სასწავლო შენობებს გადასასვლელი ხიდით. ამ შენობაში განთავსებული იყო საქმეთა მმართველის, დირექტორის მოადგილეების, ბუღალტრის, ფსიქოლოგის და სხვა დამხმარე პერსონალის ოთახები. ასევე, საკლასო ოთახები მე-12 კლასებისა და მე-6 და მე-5 კლასებისთვის. აღსანიშნავია, რომ ექსპერტთა ვიზიტის დროს ეს ადმინისტრაციული შენობა, არ იყო ექსპლუატაციაში მიღებული შესაბამისი ორგანოების მიერ და ვერ დგინდებოდა შენობის კანონიერება და მდგრადობა. გარდა ამისა, ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლის ეზოში მდებარეობდა ეკლესია, ხოლო სკოლასა და ეკლესიას შორის არ იყო გამყოფი ღობე შემოსაზღვრული. შესაბამისად, სკოლის ეზოს ტერიტორიაზე ხვდებოდნენ გარეშე პირები. ხათუნა ბარაბაძემ აქვე დაამატა, რომ დაწესებულებამ დასკვნის პროექტზე არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტა, რომ დაამონტაჟებდნენ შლაგბაუმს, რადგან ტერიტორიაზე ხდებოდა მანქანით გადაადგილებაც.

ექსპერტმა, ხათუნა ბარაბაძემ ისაუბრა დაწესებულების ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ სკოლას ჰყავდა 84 მასწავლებელი, მათგან 40 იყო უფროსი სტატუსის მქონე, 4 მაძიებელი, 1 მოწვეული, 1 წამყვანი და 38 უსტატუსო მასწავლებელი. აქვე, მან განმარტა, რომ ყველა მასწავლებელი აყვანილი იყო კანონმდებლობის სრული დაცვით. ხათუნა ბარაბაძის განცხადებით, პირადი საქმეების დათვალიერების შედეგად გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს, პირად საქმეში არ ჰქონდათ წარმოდგენილი სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის არ მქონე პირის უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობა, რაც ეწინააღმდეგებოდა საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 ივლისის N463 დადგენილების „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის

წინაარმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის აღსრულებისა და მონიტორინგის წესის დამტკიცების თაობაზე მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნებს. სტანდართთან უკეთ შესაბამისობის მიზნით, სკოლას მიეცა რეკომენდაცია ამ მოთხოვნის დაუყოვნებლივ შესრულებასთან დაკავშირებით.

ექსპერტმა განმარტა, რომ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას, სკოლამ ცენტრს მიაწოდა შსს მომსახურების საგენტოში შეტანილი განცხადებები აღნიშნულთან დაკავშირებით. გარდა ამისა, ექსპერტმა, ხათუნა ბარაბაძემ აღნიშნა, რომ ხელშეკრულებების გადამოწმების შედეგად გამოვლინდა შეუსაბამობა. კერძოდ, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს უფიქსირდებოდათ იმაზე ნაკლები საათობრივი დატვირთვა, ვიდრე ატარებდნენ რეალურად. ამ შეუსაბამობის თაობაზე სკოლას ექსპერტთა მიერ მიეცა რეკომენდაცია, რომ ფაქტობრივად ჩატარებული საათები აესახათ ხელშეკრულებებში.

ექსპერტის თქმით, არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას, სკოლამ ცენტრს გადმოუგზავნა სახეცვლილი ხელშეკრულებები.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, თამარ მამსიკაშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტებს განემარტათ, თუ რა მდგომარეობაში იყო მესამე შენობა, რომელიც არ იყო შესული ექსპლუატაციაში. ექსპერტმა, ხათუნა ბარაბაძემ განმარტა, რომ დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას ცენტრში წარმოადგინა შპს საქართველოს ტექნიკური ჯგუფის მიერ შესწავლილი მშენებლობის დასკვნა, რომლის მიხედვითაც აღნიშნული მშენებლობა დამაკმაყოფილებელი და უსაფრთხო იყო ექსპლუატაციისთვის.

საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს მუნიციპალური მერიის მიერ სკოლისთვის გაგზავნილ ბრძანებასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც მშენებლობა იყო ნაწარმოები წესების დარღვევით. საბჭოს წევრი დაინტერესდა, რამდენად შეასრულა სკოლამ აღნიშნული ბრძანებით განსაზღვრული რეკომენდაციები. სკოლის დირექტორმა განაცხადა, რომ ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით მშენებლობა იყო უსაფრთხო და სკოლა მუშაობდა აღნიშნულ ბრძანებაში დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორებაზე. აქვე, სკოლის წარმომადგენელმა დაამატა, რომ აღნიშნული ხარვეზების გამოსასწორებლად სკოლას მიცემული ჰქონდა ვადა მიმდინარე წლის მაისის თვემდე, თუმცა დაკორექტირებული პროექტი ექსპლუატაციაში მიღებასთან დაკავშირებით სკოლას წარდგენილი ჰქონდა მუნიციპალურ მერიაში.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს, თუ რა გეგმა ჰქონდა სკოლას ეკლესიასთან ეზოს გამიჯვნასთან დაკავშირებით, რადგან აღნიშნულ ეზოში ხდებოდა მანქანების გადაადგილება. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სკოლა საბჭოს მიმდინარეობის პერიოდში ამონტაჟებდა შლაგბაუმს, რომელიც გამიჯნავდა სკოლისა და ეკლესიის ტერიტორიას, რათა არ მომხდარიყო სასწავლო პროცესის პერიოდში სკოლის ეზოში მანქანებით გადაადგილება. მისი თქმით, აღნიშნული სამუშაოები დასრულდებოდა 10 დღეში.

საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ კითხვით მიმართა ექსპერტებსა და სკოლის წარმომადგენლებს, თუ რა იყო მიზეზი, რის გამოც სკოლა უარს ეუბნებოდა მოსწავლეებს მიღებაზე, რომლებიც მობილობის დროს ვერ დააკმაყოფილებდნენ 5.0 ქულიან ბარიერს, რაც დაწესებული ჰქონდა სკოლას. ექსპერტმა, ხათუნა ბარაბაძემ განმარტა, რომ სკოლამ ვიზიტის პერიოდში შეიტანა შინაგანაწესში ცვლილება და შეცვალა სკოლამ მიდგომა. აქვე, მან დაამატა, რომ სკოლა მობილობის დროს გამოიყენებდა მხოლოდ სადიაგნოსტიკო ტესტს.

საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, თუ რა იყო სკოლაში 38 უსტატუსო მასწავლებლის არსებობის მიზეზი. ექსპერტმა, ხათუნა ბარაბაძემ განაცხადა, რომ დაწესებულებას უსტატუსო მასწავლებლები კანონმდებლობის სრული დაცვით ჰყავდა აყვანილი. კერძოდ, კონკურსის გზით იყვნენ ისინი აყვანილი და მათთან გაფორმებული იყო ორი წლის ვადით ხელშეკრულებები, რომლის თანახმადაც მათ

აღნიშნულ პერიოდში უნდა დაედასტურებინათ გამოცდის ჩაბარება და მასწავლებლის (60 კრედიტიანი) პროგრამის გავლა. სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერმა, ნინო სირაძემ განაცხადა, რომ აღნიშნულ 38 უსტატუსო მასწავლებელს ჩაბარებული ჰქონდა საგნის გამოცდა, თუმცა რადგან სკოლას 2017 წლიდან ჰქონდა ალტერნატიული სქემა, უსტატუსო მასწავლებლები ვერ რეგისტრირდებოდნენ პროფესიული უნარების გამოცდაზე. აქვე, მან დაამატა, რომ სკოლა ზრუნავდა მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულების მისიაში საუბარი იყო მოქალაქის ღირებულებების ჩამოყალიბებაზე, თუმცა მისი თქმით, საათობრივი დატვირთვის მიხედვით საგანი მოქალაქეობა არ ისწავლებოდა მე-7 და მე-8 კლასებში და ისწავლებოდა მხოლოდ მე-9 კლასში კვირაში მხოლოდ ერთი საათი. საბჭოს წევრმა კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს, თუ რა იყო აღნიშნულის მიზეზი. ექსპერტმა, ხათუნა ბარაბაძემ განმარტა, რომ მათ იხელმძღვანელეს მოთხოვნით, რომ საფეხურის ფარგლებში ყოფილიყო საგნის სწავლება. ექსპერტმა, მაგდა ბარამიძემ დაამატა, რომ სკოლას ჰქონდა დამატებით ექსტრაკურიკულარული აქტივობები, რომლებიც ნაწილობრივ მოიაზრებდა მოქალაქეობის კომპეტენციების გააზრებასა და განვითარებას. სკოლის დირექტორის მოადგილემ, ლევან ქურდიანმა განმარტა, რომ სკოლა დიდ ყურადღებას უთმობდა მოსწავლეებში ღირებულებების განვითარებას, შესაბამისად მოქალაქეობის საფუძვლები ინტეგრირებული იყო საგნის საღვთო რჯულის ფარგლებში. გარდა ამისა, ლევან ქურდიანის თქმით, სკოლაში არაფორმალური განათლების მიმართულებით ხორციელდებოდა სხვადასხვა პროექტები, რომლებიც თავის თავში მოიაზრებდა სამოქალაქო განათლების კომპეტენციებსაც. სკოლის დირექტორის მოადგილემ აქვე დაამატა, რომ ცხრილში ჩასმული იყო მე-7 და მე-8 კლასებში მოქალაქეობის გაკვეთილები, თუმცა ტექნიკური ხარვეზის გამო, აღნიშნული არ ფიქსირდებოდა საათობრივ ბადეში. აღნიშნული გარემოება დაადასტურა ექსპერტმა, მაგდა ბარამიძემ და განმარტა, რომ ვიზიტის დროს დაფიქსირებული ტექნიკური ხარვეზი გამოასწორა სკოლამ და თანხვედრაში მოვიდა საათობრივი ბადე და გაკვეთილების ცხრილი. აქვე, მან დაამატა, რომ ვიზიტის დროს ექსპერტები გაეცნენ აღნიშნულ საგანში მოსწავლეების შემაჯამებელ დავალებებს.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 1000 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - წმინდა ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების სახელობის მართლმადიდებლური ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის ავტორიზაციის და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1000 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო

დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 პუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ - წმინდა ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების სახელობის მართლმადიდებლურ ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლას (ს/კ: 205241148) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1000 - ით. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა მხარი არ დაუჭირა ა(ა)იპ - წმინდა ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების სახელობის მართლმადიდებლური ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს. მან განმარტა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტი სამოქალაქო განათლების სწავლებასთან დაკავშირებით არ შეესაბამებოდა სკოლის მისიას, სასკოლო სასწავლო გეგმასა და ეროვნულ სასწავლო გეგმას.

საბჭოს გადაწყვეტილებით დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია, 2023 წლის ივნისის ბოლომდე ცენტრში წარმოედგინა მესამე შენობის ექსპლუატაციაში მიღების შესახებ აქტი. გარდა ამისა, საბჭოს გადაწყვეტილებით, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია, 2023 წლის 1 მარტამდე ცენტრში წარმოედგინა სკოლის ეზოში დამონტაჟებული შლაგბაუმის დამადასტურებელი ფოტო-მასალა.

საბჭოს სხდომას, 16:00 საათზე შემოუერთდა საბჭოს წევრი, პეტრე ბაბილუა.
საბჭოს სხდომას, 16:05 საათზე შემოუერთდა საბჭოს წევრი, ეკატერინე კვირიკაშვილი.

3. ა(ა)იპ - წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალტუბოს სასულიერო გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ქეთევან ბაცანკალაშვილმა და მაკა ჭიაბერაშვილმა. ექსპერტმა, ქეთევან ბაცანკალაშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2022 წლის 13, 14 და 15 დეკემბერს, ქ. წყალტუბოში. ექსპერტმა ისაუბრა დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკის შესახებ და აღნიშნა, რომ დაწესებულება უსასყიდლოდ ახორციელებდა ზოგადსაგანამანათლებლო პროგრამას სამივე საფეხურზე და გარდა ეროვნული სასწავლო

გეგმით გათვალისწინებული საგნებისა, გიმნაზია მოსწავლეებს სთავაზობდა დამატებით სავალდებულო და ფაკულტატურ მომსახურებას, ასევე გადასახადის გარეშე. ექსპერტმა, ქეთევან ბაცანკალაშვილმა განმარტა, რომ საათობრივ ბადეში განსაზღვრული იყო როგორც ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სავალდებულო საგნების კვირეული დატვირთვა თითოეული კლასის მიხედვით, ასევე, დამატებითი სავალდებულო საგნების ჩამონათვალი. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებას საპილოტე სახით შემოტანილი ჰქონდა მეათე კლასში მოსწავლეთა დიფერენცირებული მიმართულებებით სწავლება. ექსპერტის თქმით, აღნიშნული მოდელი, როგორც მთლიანად დაწესებულების საათობრივი ბადე, შეთანხმებული იყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.

ექსპერტმა, ქეთევან ბაცანკალაშვილმა ისაუბრა მშობლებთან კომუნიკაციაზე და განმარტა, რომ დაწესებულება სარგებლობდა ელექტრონული ჟურნალით Edupage. ასევე, დაწესებულებაში ფუნქციონირებდა მშობელთა სათათბირო. შემუშავებული იყო სათათბიროს დებულება, რომელიც განსაზღვრავდა სათათბიროს მიზნებსა და ამოცანებს, სათათბიროს ფუნქციებს, თავმჯდომარისა და წევრების არჩევისა და სხდომების ჩატარების წესს.

ექსპერტმა, ქეთევან ბაცანკალაშვილმა ისაუბრა დაწესებულების შეფასების სისტემაზე და განაცხადა, რომ სკოლაში მოქმედებდა ხუთდონიანი და ათქულიანი შეფასების სისტემა. კლასისა და საფეხურის დაძლევის ბარიერი კი იყო 5.5 ქულა. მისი თქმით, განსხვავებულ ბარიერთან მიმართებით, სკოლის შინაგანაწესში გაწერილი იყო მოსწავლეთა მიღების წესები. კერძოდ, გიმნაზია უფლებამოსილი იყო მობილობის მსურველის ჩარიცხვამდე, გასაუბრების ან გამოცდის საფუძველზე დაედგინა მობილობის მსურველის ცოდნისა და უნარების ცალკეული კლასის/კლასების მიხედვით ცოდნის დონე. ასევე, მოსწავლეს შეიძლებოდა უარი თქმოდა გიმნაზიაში ჩარიცხვაზე, თუ გიმნაზიის სასკოლო სასწავლო გეგმის ბარიერის მიხედვით დადგენილ დონეს (5.5 ქულა ან მეტი) ვერ დააკმაყოფილებდა, ასევე, თუ შემოსული განცხადებების რიცხვი აჭარბებდა გიმნაზიაში მისაღებ მოსწავლეთა ადგილების რაოდენობას. აქვე, ექსპერტმა განაცხადა, რომ მათი მხრიდან დაწესებულებას მიეცა სტანდარტთან უკეთ შესაბამისობის მიზნით რეკომენდაცია, რომ სასკოლო საზოგადოებასთან ერთად კიდევ ერთხელ განეხილა დაძლევის მაღალი ბარიერის (5.5 ქულა) საჭიროების საკითხი. ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ სკოლა მიიღებდა გადაწყვეტილებას მაღალი ბარიერის შენარჩუნებასთან დაკავშირებით, რეკომენდებული იყო სკოლაში მოსწავლეთა მიღების წესი შესაბამისობაში მოსულიყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N193/ნ ბრძანებასთან „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის დამტკიცების შესახებ“. ექსპერტმა, განმარტა, რომ დასკვნის პროექტის გაცნობის შემდგომ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი, რომელშიც აღწერილი იყო ბარიერთან დაკავშირებული გადაწყვეტილება. აღნიშნულ ოქმში იკითხებოდა, რომ სასკოლო საზოგადოება დადებითად აფასებდა აღნიშნულ შიდა ბარიერს 5.5 და არ ცვლიდა მას. პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით ცვლილებები შეტანილი იყო შინაგანაწესში. კერძოდ, გიმნაზია უფლებამოსილი იყო, თავისუფალი ადგილების არსებობის შემთხვევაში ჩაეტარებინა მისაღებ მოსწავლესთან სარეკომენდაციო გასაუბრება/ტესტირება გიმნაზიის მიერ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებული საათობრივი ბადის პრიორიტეტული/გაძლიერებული სტატუსის მქონე საგნებში.

ექსპერტმა, ქეთევან ბაცანკალაშვილმა ისაუბრა დაწესებულების ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით და განმარტა, რომ საგანმანათლებლო პროცესის განსახორციელებლად გიმნაზიაში დასაქმებული იყო 34 მასწავლებელი, მათ შორის 3 დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების პედაგოგი და 2 წრის ხელმძღვანელი, 17 უფროსი, 7 წამყვანი და 2 მოწვეული მასწავლებელი. ექსპერტის თქმით, სკოლაში მოქმედებდა დამრიგებლის ძლიერი ინსტიტუტი. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში არსებობდა პროექტული სწავლებისა და წამახალისებელი აქტივობებისთვის შესაბამისი მზაობა და მოტივაცია.

ექსპერტმა, ქეთევან ბაცანკალაშვილმა ისაუბრა დაწესებულების მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრიდან ამონაწერის თანახმად მიწის საერთო

ფართობი შეადგენდა 2400 კვ.მ-ს. მან განმარტა, რომ სკოლა შემოღობილი იყო მხოლოდ წინა პერიმეტრზე და ნაწილობრივ გვერდით პერიმეტრზე. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დგინდებოდა, რომ ეტაპობრივად იგეგმებოდა სკოლის ეზოს სრული შემოღობვა. ქეთევან ბაცანკალაშვილმა აღნიშნა, რომ გიმნაზიის პირველ სართულზე ფუნქციონირებდა სასკოლო ბიბლიოთეკა, მრავალფეროვანი და კარგად ორგანიზებული წიგნადი ფონდით, რომელიც მოიცავდა 5045 ერთეულს. ექსპერტის თქმით, სკოლას პირველ სართულზე ჰქონდა კარგად მოწყობილი, მაღალჭერიანი 170 კვ.მ-ის სპორტული დარბაზი, სადაც შექმნილი იყო გარემო კალათბურთის, ფრენბურთისა და მაგიდის ჩოგბურთის სწავლებისათვის. ექსპერტმა, ქეთევან ბაცანკალაშვილმა განმარტა, რომ დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდში გაითვალისწინა ექსპერტთა მხრიდან გაცემული რეკომენდაციები, კერძოდ, გააძლიერა ვიდეო მეთვალყურეობის სისტემა, გაამაგრა შიდა მოაჯირის კონსტრუქცია და მოაწყო ადაპტირებული სველი წერტილი ყველა ნორმის გათვალისწინებით.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ კითხვით მიმართა ექსპერტებს, თუ რა ეტაპზე იყო შენობის შემოღობვის საკითხი. ექსპერტმა, ქეთევან ბაცანკალაშვილმა განმარტა, რომ დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ეტაპობრივად იგეგმებოდა სკოლის ეზოს სრული შემოღობვა.
საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ კითხვით მიმართა ექსპერტებს შენობის ფლობის დამადასტურებელ დოკუმენტთან დაკავშირებით, თუ რა ვადით ჰქონდა საპატრიარქოს თხოვების ხელშეკრულება გაფორმებული სკოლასთან. ექსპერტმა, მაკა ჭიაბერაშვილმა განმარტა, რომ 2022 წლის 25 აგვისტოს საჯარო რეესტრიდან ამონაწერით მიწის ნაკვეთი მფლობელობაში გადაეცა საქართველოს საპატრიარქოს, რომლის წარმომადგენელმაც,
მიტროპოლიტმა კალისტრატემ ნათხოვრობის უფლებით გადასცა აღნიშნული მიწის ნაკვეთი და შენობა ა(ა)იპ - წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალტუბოს სასულიერო გიმნაზიას არსებობის (არანაკლებ 10 წლის) ვადით.
საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს ბარიერის ქულის შესახებ, თუ რა ცვლილება განახორციელა სკოლამ ექსპერტთა რეკომენდაციის შედეგად. სკოლის წარმომადგენელმა, მაია ონიანმა უპასუხა, რომ აღნიშნული ბარიერი გამოწვეული იყო სასკოლო საზოგადოების დაკვეთის შედეგად, კერძოდ კი, მოსწავლეებისა და მშობლების. მან დაამატა, რომ აღნიშნული ბარიერი სკოლას დაწესებული ჰქონდა მხოლოდ საპილოტე რეჟიმში მყოფ საგნებში, რომლებსაც გაძლიერებული სტატუსით ასწავლიდნენ.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს, თუ ჰქონდა სკოლას მობილობით გადმომსვლელი მოსწავლეებისთვის ბარიერი დაწესებული აღნიშნულ გაძლიერებულ საგნებში. სკოლის წარმომადგენელმა, მაია ონიანმა განაცხადა, რომ მობილობის შემთხვევა აღნიშნულ კლასებში არ ჰქონდათ.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ სკოლაში შეფასების სტრატეგიები და პრინციპები უნდა გამომდინარეობდეს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონიდან და ეროვნული სასწავლო გეგმიდან. აქვე, მან დაამატა, რომ პირთა მიმართ განსხვავებული დამოკიდებულება შეფასებისას იყო დაუშვებელი, აღნიშნული ბარიერი კი ხელს უშლიდა მოსწავლეთა მიმართ თანაბარი მიდგომების არსებობას.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების

გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 330 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალტუბოს სასულიერო გიმნაზიის ავტორიზაციის და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 330 - ით განსაზღვრის საკითხი.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 15 თებერვლის N15 გადაწყვეტილებით სკოლას ავტორიზაცია მიენიჭა 2017 წლის 15 თებერვალს 6 წლის ვადით. აღნიშნულის შესაბამისად, სკოლა შუამდგომლობდა საბჭოსთან, ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში, საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2023 წლის 15 თებერვალს.
საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 პუნქტის, მე-7 პუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ - წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალტუბოს სასულიერო გიმნაზიას (ს/კ: 221282396) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 330 - ით. აღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2023 წლის 15 თებერვალი. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

საბჭოს გადაწყვეტილებით დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია, 2023 წლის სექტემბრის ბოლომდე ცენტრში წარმოედგინა დაწესებულების ეზოს შემოღობვის დამადასტურებელი ფოტო-მასალა და საბჭოს გადაწყვეტილებით დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია დაეკორექტირებინა საგნების დაძლევის ქულის ბარიერი და მოეყვანა აღნიშნული კანონმდებლობასთან შესაბამისობაში. კერძოდ, თანაბარი მიდგომა დაემკვიდრებინა როგორც არსებული მოსწავლეების მიმართ, ასევე, მობილობით გადმოსული მოსწავლეების შემთხვევაში.

4. შპს სენაკის კერძო სკოლა-ლიცეუმის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, მაკა ტუკვაძემ და ვერა ყურულაშვილმა. ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ განაცხადა, რომ დაწესებულებაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2022 წლის 26 და 27 დეკემბერს, ქ. სენაკში. ექსპერტის განმარტებით, საჯარო რეესტრის ამონაწერით, სკოლის მფლობელობაში იყო 347 კვ.მ-ზე განთავსებული სამსართულიანი შენობა-ნაგებობა, შენობის საერთო ფართი კი იყო 571,028 კვ.მ. მაკა ტუკვაძის თქმით, დაწესებულებაში ფიქსირდებოდა 12 საკლასო ოთახი, მათგან ერთ საკლასო ოთახში განთავსებული იყო კომპიუტერული ლაბორატორია, ხოლო მეორე საკლასო ოთახში განთავსებული იყო საბუნებისმეტყველო ლაბორატორია. მისი თქმით, ჯამში სკოლა ფლობდა 200 ინდივიდუალურ მერხსა და სკამს, ასევე, 13 კომპიუტერს, 1 პროექტორსა და 2 პრინტერს. ექსპერტის განმარტებით, სკოლაში იყო მცირე ზომის სპორტული დარბაზი საჭირო ინვენტარით აღჭურვილი და მცირე ეზო სპორტული აქტივობებისთვის. აქვე, მაკა ტუკვაძემ დაამატა, რომ საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში დამონტაჟებული იყო სველი წერტილი და გამწოვი. ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ აღნიშნა, რომ სკოლაში სველი წერტილები არ იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად მოწყობილი. კერძოდ, კაბინები არ იყო გამოყოფილი ტიხრებითა და კარებით, შესაბამისად არღვევდა პრივატულობას. ასევე, სკოლას არ ჰქონდა ადაპტირებული სველი წერტილი. ექსპერტის განმარტებით, დაწესებულებამ ითანამშრომლა ექსპერტებთან და ვიზიტის პერიოდში დაიწყო აღნიშნული ხარვეზის გამოსწორება, ხოლო არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის დროს დააფიქსირა ხარვეზის გამოსწორების შესაბამისი ფოტო-მასალა. ექსპერტმა აგრეთვე განმარტა, რომ სკოლას ჰქონდა ორი საევაკუაციო გასასვლელი და დამონტაჟებული იყო შესაბამისი გზის მაჩვენებელი მანათობელი ნიშნები. სამედიცინო კაბინეტთან დაკავშირებით ექსპერტმა განაცხადა, რომ ვიზიტის დროს ექსპერტთა მხრიდან იყო გაცემული რეკომენდაცია სამედიცინო ოთახში ხელსაბანისა და გამყოფი შირმის დამონტაჟებასთან დაკავშირებით. აღნიშნულის დამონტაჟების დამადასტურებელი ფოტო-მასალა სკოლამ ცენტრში წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას. ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ აღნიშნა, რომ სკოლას შემუშავებული და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებული ჰქონდა უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები. ასევე, სკოლაში ფუნქციონირებდა მორიგეობის სისტემა და სკოლა აღჭურვილი იყო 11 ვიდეო კამერით, მათგან 4 აკონტროლებდა სკოლის გარე სივრცეს. აქვე, ექსპერტმა დაამატა, რომ სკოლას ჰქონდა შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები.

ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკის შესახებ და აღნიშნა, რომ მასწავლებლები და მოსწავლეები 2021 წლიდან აქტიურად იყვნენ ჩართული საერთაშორისო პროექტში ,,შეიმეცნე სამშობლო შენი“, რომლის ფარგლებში მონაწილეობდნენ ლონდონის საერთაშორისო ონლაინ კონფერენციებში 18 ქვეყანასთან ერთად. პროექტის ფარგლებში სკოლა აქტიურად თანამშრომლობდა სხვადასხვა ქვეყნის ქართულ სათვისტომოებთან.

ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ განაცხადა, რომ დაწესებულების სასკოლო სასწავლო გეგმა შეესაბამებოდა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. სკოლა იყენებდა ეროვნული სასწავლო გეგმის 56-ე მუხლით განსაზღვრული საათობრივი ბადის პირველ მოდელს, რომელიც მიჰყვებოდა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ კვირეულ საათობრივ დატვირთვას. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლა არაფორმალური განათლების მიმართულებით ახორციელებდა აქტივობებს, კერძოდ, სკოლაში ფუნქციონირებდა რამდენიმე კლუბი. მაკა ტუკვაძემ განმარტა, რომ ექსპერტთა მხრიდან გაიცა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტთან უკეთ შესაბამისობის მიზნით რეკომენდაცია. კერძოდ, სკოლას ეზრუნა სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასების და შემდგომი გაუმჯობესების ერთიანი მექანიზმების შემუშავებაზე.

ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ ისაუბრა დაწესებულების ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ სკოლას ჰყავდა 36 თანამშრომელი, მათ შორის 27 იყო მასწავლებელი, რომელთაგან 17 ჰქონდა უფროსი მასწავლებლის სტატუსი, 6 იყო უსტატუსო, 3 მოწვეული და 1 მაძიებელი მასწავლებელი. უსტატუსო მასწავლებლებთან დაკავშირებით ექსპერტმა განმარტა, რომ მათ ჩაბარებული ჰქონდათ საგნის გამოცდა და გეგმავდნენ მუშაობას სტატუსის ამაღლებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 200 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სენაკის კერძო სკოლა-ლიცეუმის ავტორიზაციის და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 200 - ით განსაზღვრის საკითხი.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 10 თებერვლის N28 გადაწყვეტილებით სკოლას ავტორიზაცია მიენიჭა 2017 წლის 10 თებერვალს 6 წლის ვადით. აღნიშნულის შესაბამისად, სკოლა შუამდგომლობდა საბჭოსთან, ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში, საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2023 წლის 10 თებერვალს.
საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო

დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-7 პუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს სენაკის კერძო სკოლა-ლიცეუმს (ს/კ: 239897590) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 200 - ით. აღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2023 წლის 10 თებერვალი. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

5. შპს გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ლიანა კობესაშვილმა და იზაბელა იოსელიანმა. ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა განაცხადა, რომ საავტორიზაციო ვიზიტი დაწესებულებაში განხორციელდა მიმდინარე წლის 10, 11 და 12 იანვარს, ქ. ფოთში. ექსპერტმა სკოლის საუკეთესო პრაქტიკად აღნიშნა მშობელთა ჩართულობის მაღალი დონე. მისი თქმით, მშობელთა ინიციატივითა და ჩართულობით სკოლაში ჩამოყალიბებული იყო ეკო-კლუბი.
ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულების სასკოლო სასწავლო გეგმა შეესაბამებოდა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. სკოლა იყენებდა ეროვნული სასწავლო გეგმის 56-ე მუხლით განსაზღვრული საათობრივი ბადის პირველ მოდელს, რომელიც მიჰყვებოდა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ კვირეულ საათობრივ დატვირთვას, თუმცა, სკოლას ჰქონდა დამატებითი მომსახურების სახით სხვადასხვა კლუბები. ლიანა კობესაშვილის თქმით, სკოლაში ფუნქციონირებდა 6 კათედრა, რომლებიც მუშაობდნენ დებულებების და სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილი კათედრების ფუნქციების შესაბამისად. ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა განაცხადა, რომ საგნების მიხედვით სკოლაში შემუშავებული იყო თემატური სასწავლო გეგმები, რიგ შემთხვევაში მას ახლდა ასევე, მატრიცები და კომპლექსური დავალებები. მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ისინი კომპლექსური დავალებების შესრულების შემდეგ აკეთებდნენ თვითრეფლექსიას. ექსპერტის თქმით, სკოლაში ვიზიტისას შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა კათედრების და მასწავლებელთა პორტფოლიოები. პორტფოლიოებში წარმოდგენილი იყო ეროვნული სასწავლო გეგმის წლიური პროგრამების ანალოგიური თემატური გეგმები, კომპლექსური დავალების პირობები, მატრიცები, შემაჯამებელი დავალებების ანალიზები. შემაჯამებელი დავალებების ანალიზი მოიცავდა ინდივიდუალურად მოსწავლის შეფასებას და

მისი შედეგის გაუმჯობესების რეკომენდაციებს. ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა განმარტა, რომ სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შეფასების სისტემის შესაბამისი იყო და მოსწავლეები ფასდებოდნენ სამი კომპონენტის მიხედვით. აქვე, მან დაამატა, რომ კათედრებზე შემუშავებული იყო მოსწავლეთა შეფასების ზოგადი კრიტერიუმები, რომლებიც ზუსტდებოდა კონკრეტულ თემასთან მიმართებით. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლას სსსმ მოსწავლე არ ჰყავდა. მან დაამატა, რომ შემუშავებული იყო მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილი იყო სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით.
ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა განაცხადა, რომ ექსპერტთა მხრიდან გაიცა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტთან უკეთ შესაბამისობის მიზნით რეკომენდაცია პროგრამულ ნაწილთან დაკავშირებით. კერძოდ, სკოლას შემაჯამებელ დავალებათა ნაწილში გამოეყენებინა კომპლექსური კონტექსტის მქონე დავალებები, ტესტური დავალებების შემთხვევაში კი უპირატესობა მიენიჭებინა ღია ტიპის შეკითხვებს. დახურული ტიპის დავალებების ქულების წილი მთლიან ტესტში შეზღუდულიყო 30%-მდე. ღია ტიპის დავალებები კი მიემართათ მოსწავლეების ანალიტიკური აზროვნების უნარების შემოწმებისაკენ. კერძოდ, ღია ტიპის ტესტურ დავალებებში წამყვანი კითხვები ყოფილიყო „რატომ“, „როგორ“. ექსპერტის თქმით, დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას განაცხადა, რომ რეკომენდაცია მიღებული ჰქონდათ და იწყებდნენ აღნიშნული საკითხის მოგვარებაზე მუშაობას. გარდა ამისა, ექსპერტთა მხრიდან გაიცა რეკომენდაცია, რომ სკოლის მიერ სხვადასხვა დოკუმენტებში გამოყენებული ტერმინები (შემაჯამებელი სამუშაო, საკონტროლო) მოსულიყო შესაბამისობაში ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ტერმინთან - შემაჯამებელი დავალება.
ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა ისაუბრა დაწესებულების მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით და განმარტა, რომ სკოლას ჰქონდა ორ სართულიანი შენობა, სადაც განთავსებული იყო 13 საკლასო ოთახი, ბიბლიოთეკა, საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორიები და ექიმის კაბინეტი. აქვე, მან დაამატა, რომ თითოეული კაბინეტი აღჭურვილი იყო კანონმდებლობის შესაბამისად. ექსპერტის თქმით, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში იყო სველი წერტილი და ბუნებრივი განიავების საშუალება, თუმცა ექსპერტთა რეკომენდაციის შედეგად, სკოლამ ვიზიტის პერიოდშივე შეიძინა და დაამონტაჟა გამწოვი. ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლაში იყო სპორტული დარბაზი, საცურაო აუზი და ეზოში 60 მეტრიანი სარბენი ბილიკი. აქვე, მან დაამატა, რომ საცურაო აუზს ჰქონდა გასახდელები, საშხაპეები და სველი წერტილები.
ექსპერტ, ლიანა კობესაშვილის განმარტებით, დაწესებულებას მიეცა სტანდარტთან უკეთ შესაბამისობის მიზნით რეკომენდაცია შინაგანაწესში შესწორებების შეტანასთან დაკავშირებით. კერძოდ, შინაგანაწესის მე-3 თავის (სასწავლო პროცესის მონიტორინგის ფორმები და ფარგლები) მე-5 მუხლი ეთმობოდა საკლასო ჟურნალით სარგებლობასა და შენახვაზე პასუხისმგებელ პირებს. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, ამოეღო აღნიშნული მუხლი, რადგან სკოლა მხოლოდ ელექტრონული ჟურნალით სარგებლობდა. სკოლას, ასევე, მიეცა რეკომენდაცია მე-4 თავის (შრომითი ურთიერთობის წარმოშობა) მე-6 მუხლში წინა სახელშეკრულებო ურთიერთობა, სავალდებულო ცნობად ასევე მიეთითებინა ცნობა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლობის შესახებ. აქვე, ექსპერტმა დაამატა, რომ აღნიშნული საკითხები სკოლამ გაასწორა და არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას ცენტრში გააგზავნა შესაბამისი დამამტკიცებელი დოკუმენტები.
ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა ისაუბრა დაწესებულების ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ სკოლაში დასაქმებული იყო 33 თანამშრომელი, ხოლო მათგან 22 იყო მასწავლებელი. აქვე, ექსპერტმა დაამატა, რომ 10 მასწავლებელს ჰქონდა უფროსი მასწავლებლის სტატუსი, 1 მენტორი, 2 მოწვეული, 3 მაძიებელი, 3 შემცვლელი და 3 დამხმარე მასწავლებელი იყო. ექსპერტ, ლიანა კობესაშვილის თქმით, პირადი საქმეების

დათვალიერებისას აღმოჩნდა, რომ არ იყო წარმოდგენილი ცნობები სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლობის შესახებ, რასთან დაკავშირებითაც ექსპერტებმა გასცეს რეკომენდაცია, ხოლო არგუმენტირებული პოზიციის წარდგენისას სკოლამ ცენტრში გადააგზავნა შესაბამისი ცნობები. ასევე, მასწავლებლების ხელშეკრულებების ანალიზის პროცესში გამოიკვეთა, რომ არ იყო განსაზღვრული მაძიებლის სტატუსი მასწავლებლობის მაძიებელი კადრის ხელშეკრულებაში, მენტორი მასწავლებლის ხელშეკრულებაში არ იყო ჩანაწერი სტატუსის შესაბამისი ვალდებულებების შესახებ. ხელშეკრულებებში, ასევე, არ იყო ჩანაწერი თანამდებობრივი განაკვეთის, სახელფასო განაკვეთის და სამუშაოს ანაზღაურების შესახებ. აღნიშნულთან დაკავშირებით ექსპერტებმა სკოლის წარმომადგენლებს მისცეს რეკომენდაცია, შეემუშავებინათ ხელშეკრულების თანმდევი შეთანხმება, რომელშიც გათვალისწინებული იქნებოდა და აღიწერებოდა ყველა ზემოთ ჩამოთვლილი. ექსპერტის თქმით, აღნიშნული საკითხები სკოლამ გაასწორა და წარმოადგინა შესაბამისი დოკუმენტაცია და ფოტო-მასალა ცენტრში არგუმენტირებული პოზიციის გაგზავნის დროს.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 170 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს გიმნაზიის ავტორიზაციის და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 170 - ით განსაზღვრის საკითხი.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 10 თებერვლის N31 გადაწყვეტილებით სკოლას ავტორიზაცია მიენიჭა 2017 წლის 10 თებერვალს 6 წლის ვადით. აღნიშნულის შესაბამისად, სკოლა შუამდგომლობდა საბჭოსთან, ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში, საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2023 წლის 10 თებერვალს.
საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-7 პუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს

გიმნაზიას (ს/კ: 215147945) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 170 - ით. აღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2023 წლის 10 თებერვალი. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა 17:20 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა